

საქართველოს და რომის ეკლესიის ურთიერთობები დიდი სქიზმის შემდეგ

ბექა ჭიჭინაძე*

საქართველოსა და რომის ეკლესიის ურთიერთობების შესახებ საკმაოდ ბევრი ინერტია, მაგრამ ბოლო პერიოდში შეინიშნება ამ საკითხის ირგვლივ დაწერილი ნაშრომების ერთგვარი სტანდარტიზება, ძირითადად განხილულია ერთი და იგივე, უკვე კარგად ცნობილი წყაროები, რის გამოც ქართველი მორწმუნე საზოგადოებისთვის უცნობი რჩება თუ რამდენად ღრმა და მდიდარი იყო ისტორიულად ქართველთა და ევროპელთა სულიერი ურთიერთობები, სწორედ ამ მიზეზების გამო სტატიაში შეგნებულად ავუფელი გვერდს ამ საკითხის ირგვლივ არსებულ კარგად ცნობილ წყაროებსა და ისტორიოგრაფიას, რათა მკითხველის ყურადღება მივაქციო ამ დიდი ისტორიის ნაკლებად ცნობილ დეტალებსა და წყაროებს. კვლევის სტრატეგია საკმაოდ მარტივი იქნება, **ქართველთა და რომის ეკლესიის სარწმუნოებრივი ურთიერთობების ისტორიას წარმოვადგენთ საქართველოს ეკლესიის სამი ყველაზე ავტორიტეტული მოძღვრის და წმინდანის: ეფთვიმე ათონელის, გიორგი მთაწმინდელის და დავით აღმაშენებლის ბიოგრაფიიდან, მეორე მხრივ კი – სამი ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ქართული მონასტრის: ათონის ივერონის, ანტიოქიის შავი მთის და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორიიდან.** ვფიქრობ, ასეთი მიდგომა საკითხისადმი საუკეთესო გზაა მთლიანი სურათის მისაღებად.

I. ეფთვიმე ათონელი

შუა საუკუნეების ლათინურ საეკლესიო ტექსტებში ჩვენი ეკლესიის ამ მნათობის შესახებ ვკითხულობთ: „Eufinium sanctum

* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის თეოლოგიისა და ფილოსოფიის ინსტიტუტის მკვლევარი.

virum...¹ monachus abasgo genere stilo² – ექვთიმე, წმინდა კაცი... წარმოშობით აფხაზი (ქართველი) მონაზონი“. ამ ლაკონური, მაგრამ მაინც მრავლსმეტყველი ცნობიდან ვგებულობთ, რომ ექვთიმე წმინდანადაა მიჩნეული რომის ეკლესიის მხრიდანაც, მაგრამ ჩვენი მიზანი არაა მხოლოდ რომის კათოლიკეთა დამოკიდებულების გაშუქება ჩვენი ეკლესიის წმინდანების, ჩვენ გვანტერესებს საქართველოს ეკლესიის მართლმადიდებელი მამების და მათ შორის საკუთრივ ეფთვიმეს მიმართება რომის ეკლესიასთან, ამ მხრივ ფასდაუდებელ ინფორმაციას იძლევა წმინდა ეფთვიმეს დოპტიკი: „ჰრომსა პაპობასა იოვანესსა, კოსტანტინე [პოლეს] პატრიარქობასა ალექსისა და ი[ერუსალემს] ნიკიფორესა და ა[ლექსანდრეს] გიორგისა და ანტიოქიას ნიკოლოზისა, ქართლსა კათალიკოზობასა მელქისედეკისა...“. ამ დოპტიკიდან კარგად ჩანს, რომ ეფთვიმე ათონელი ცალმხრივად არაა აღიარებული რომის ეკლესიისგან, თავის მხრივ, ეფთვიმეც სცნობდა რომის ეკლესიას და მის მეთაურს, რომელსაც ყველა ბერძენი პატრიარქის წინ იხსენიებს, მიუხედავად იმისა, რომ ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობები ამ მომენტში რომის ეკლესიასთან უკიდურესად დაძაბული იყო.

II. გიორგი მთაწმინდელი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ყველაზე დიდ მოძღვრად მიჩნეული გიორგი მთაწმინდელის შესახებ მე-13 საუკუნის ლათინურ საღვთისმეტყველო თხზულებაში “Thesaurus Fidei”, რომლის ავტორიც დომინიკანელი ბერი ბონაქორს ბოლონიელია, ვკითხულობთ: ...Sanctum... beatum Geirgium, ანუ წმინდა და ნეტარი გიორგი.³ მეორე მხრივ, კარგადაა ცნობილი თავად გი-

¹ Le Roman de Barlaam et Josaphat: Recherches sur la tradition manuscrite latine et française, t.2. La version anonyme française. Ptie. 1. Texte critique. Ptie. 2. Etudes critiques et mise en prose, Sonet J. Paris, 1949, 74.

² García A., Cielo en la tierra, Madrid, 1997, 228.

³ Khintibidze E., The Speech of a Georgian Holy Father at the Byzantine Imperial Court from a Hagiographical Work in a Thirteenth-Century Latin Collection, International Congress of Byzantine Studies, London, 21-26 August 2006, III, 174.

ორგი მთაწმინდელის პოზიცია რომის ეკლესიასთან მიმართებით: „ხოლო ჰრომთა ვინაითგან ერთგვის იცნეს ღმერთი, აღარასოდეს მიდრეკილ არიან, და არცა ოდეს წვალემა შემოსრულ არს მათ შორის...“ ამრიგად, გიორგი მთაწმინდელის აზრით რომის ეკლესიამ უმნიკვლოდ შეინახა ქრისტიანული რწმენა. მისი თანამედროვე რომაული ეკლესია გიორგისთვის უმნიკვლო რწმენის ბურჯი იყო, სხვაგვარად ის ვერასგზობით ვერ იტყოდა, რომ რომის ეკლესიაში არასოდეს შესულა მწვალებლობა. საინტერესოა ისიც, რომ გიორგის მთარგმნელობით მემკვიდრეობაში გვხვდება ფილიოქუეც, რომაულ ეკლესიას მიკუთვნებული ცნობილი სწავლება სულიწმინდის ძისგანაც წარმომავლობის შესახებ. რომის ეკლესიის მიმართ გიორგი ათონელის მიმართების საუცხოოდ გამომხატველი ორივე ეს ფაქტი სხვადასხვა დროს ისტორიის სხვადასხვა გამყალბების სამიზნე გამხდარა, ფალსიფიკატორების მტკიცებით ამ ცნობებიდან სულაც არ ჩანს, რომ წმინდა გიორგი ათონელი ეკლესიის ერთიანობის შესანარჩუნებლად იბრძოდა. ეს ყალბისმქნელობა კიდევ ერთი კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ აბოროტებს და აბრიყვებს ფანატიზმი. მიუკერძოებელი მეცნიერული ანალიზი გვაჩვენებს, რომ გიორგი მთაწმინდელი სრულად თანაუზიარებოდა რომის ეკლესიას და იცავდა უფლის ეკლესიის ერთიანობის სახარებისეულ იდეას. ამ შემთხვევაშიც ჩვენი ეკლესიის ამ დიდი მოძღვრის პოზიცია ცალმხრივი არ ყოფილა, როგორც ვნახეთ, თავის მხრივ, რომის ეკლესიაც სცნობდა გიორგის ავტორიტეტს და მას ნეტარად და წმინდანადაც კი მიიჩნევდა, ისევე როგორც ეფთვიმეს.

III. დავით აღმაშენებელი

დავით აღმაშენებელი საქართველოს ეკლესიისთვის მორიგი წმინდანი მეფე არ ყოფილა, მის მატთანეში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ იგი არა მხოლოდ მეფე, არამედ მასწავლებელიც,

ანუ მოძღვარი და მოძღვართ მოძღვარიც კი იყო. ჩვენი ეკლესიის ამ დიდი მოღვაწის შესახებ თანადროულ ევროპულ წყაროში ასეთი, შთამბეჭდავი ჩანაწერია მოცემული: **Tanti regis! Veri et perfectissimi christiani** – ასეთი მეფე! ქვემარტი და ყველაზე სრულყოფილი ქრისტიანი“.⁴

იერუსალიმის მეფე ბალდუინის პანეგირისტი აღნიშნავს, რომ ბალდუინი ინსიგნიებს დავით აღმაშენებლისგან იღებდა.⁵ ჩვეულებრივ, ინსიგნიებს უზენაესი ხელისუფალი გასცემს. ცხადია, შეუძლებელია ბალდუინსა და დავითს შორის ვასალურ ურთიერთობებს ეარსება, ამიტომ ამ ცნობის რეალური შინაარსი არც ისე იოლი გასაგებია. ზოგიერთი მკვლევრის სამართლიანი შენიშვნით, თუ აქ საპირისპირო იქნებოდა ნათქვამი, კერძოდ, თუკი ინსიგნიებს დავითი მიიღებდა ბალდუინისგან და არა პირიქით, მაშინ ყველაფერი გასაგები იქნებოდა, რადგან იერუსალიმის მეფე ფორმალურად უზენაეს ქრისტიან ხელისუფლად მიიჩნეოდა. მკვლევართა ერთმა ჯგუფმა ეს პრობლემა გაამარტივა და ინსიგნიები, რომელთაც ბალდუინი დავითისაგან იღებდა, უბრალოდ საჩუქრად აქცია, მაგრამ წყაროს ჩვენების ამგვარი ვულგარიზება დაუშვებელი თვითნებობაა. აქ გასაგებადაა ნათქვამი, რომ ბალდუინი დავითისგან მაინცდამაინც ინსიგნიებს – ძალაუფლების ნიშნებს იღებდა, რაც მოწმობს, რომ დავითი აქ უზენაეს ქრისტიან ხელისუფლადაა აღქმული ჯვაროსნულ ქრისტიანულ წრეებშიც, რადგანაც ჯვაროსნული სამთავროების ლიდერი – იერუსალიმის მეფეც კი ძალაუფლების ნიშნებს დავითისაგან იღებს. იერუსალიმის ჯვაროსნული სამეფოს მკვიდრი, ფრანგი ბერი ანსელუსი დავითს ჯვაროსანთა წინა ბურჯად მიიჩნევს. იგი აქ იერუსალიმის ჯვაროსნულ სამეფოში არსებულ აზრს გადმოგვცემს. სხვაგან გამოქვეყნებული მაქვს ოლივერ სქოლასტიკოსის ერთი უცნობი ცნობა, რომელშიც დავით აღმაშენებელი ისევ და ისევ ჯვაროსანთა წინამძღოლა-

⁴ Chancellarii G., Antiochena B., Migne J.P., *Patrologiae Cursus Completus: Series Latina: Sive, Bibliotheca*, Paris, Vol. 155, 1854, 1036

⁵ Rheinhold R., *Geschichte des Konigreichs Jerusalem*, Innsbruck, 1898, 120.

დაა ნაგულისხმევი, ამიტომაც ამ „ჯვაროსანთა წინაბურჟისაგან“ და „ყველაზე სრულყოფილი ქრისტიანისაგან“ ინსიგნიების მიღება იერუსალიმის ქრისტიანი მეფისათვის დამამცირებელი სულაც არ იყო. პირიქით, ეს დამატებითი ლეგიტიმაცია იყო მისი ხელისუფლებისათვის, რომელსაც პაპთან უთანხმოების პირობებში ეს ნამდვილად სჭირდებოდა. ამრიგად, დავით აღმაშენებელი მიჩნეულია ჯვაროსან ქრისტიანთა სახელოვან წინამძღვრად. „ბურჯად“ და „ყველაზე სრულყოფილ ქრისტიანად“. როგორ უნდა ავხსნათ ეს განსაცვიფრებელი მოვლენა? ამისათვის ჯვაროსნული ლაშქრობების გარიჟრაჟს, პირველივე დღეებს უნდა დავუბრუნდეთ, ვგულისხმობ კლერმონის დიდ საეკლესიო კრებას, სადაც პაპმა ურბან II-მ სრულიად ევროპას მოუწოდა ჯვაროსნული ლაშქრობისკენ და გააცნო სამოქმედო პროგრამა. პაპის სიტყვის ერთ-ერთ ძველ ფრანგულ ვერსიაში გადავანყდი უმნიშვნელოვანეს მონაცემს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება საქართველოს, დავით აღმაშენებელს და მის ეპოქალურ მისიას ქრისტიანული სამყაროს წინაშე. კლერმონში შეკრებილ ევროპელ ხელისუფლებს პაპმა მიზნად არა მხოლოდ იერუსალიმის გათავისუფლება დაუსახა, არამედ თურქთა უკუქცევა კავკასიის ქედს გადაღმა, რადგან მიიჩნეოდა, რომ აპოკალიფსური მაგოგი, ანუ თურქები სწორედ კავკასიიდან დაიძრნენ. ასეთი წარმოდგენები დასავლეთში ბუნებრივად ჩნდებოდა, რადგანაც ქრისტიანულ სამყაროზე თურქთა ექსპანსიის ბაზა მართლაც კავკასიაში – აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა, რაც ასახულია მრავალრიცხოვან ქრისტიანულ და მუსლიმურ წყაროებში. მათ შორის ყველაზე საგულისხმოა თურქული ნაციონალური ეპოსი – „ნიგნი პაპაჩემ ქორქუთისა“, როგორც თურქული ისტორიული მენსიერების ამსახველი ძეგლი, სადაც თურქი ტომების ექსპანსიის ბაზად სწორედ კავკასია, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაა მიჩნეული. შესაბამისად, ურბან II-მ ჯვაროსნებს მიზნად დაუსახა არა მხოლოდ წმინდა ქალაქის გათავისუფლება, არამედ თურქული ტომების ექსპანსიის ბაზის

მოშლაც კავკასიაში. პაპმა კრებულს ამგვარად მიმართა: „უკუ-აქციეთ [თურქები] კავკასიის მთის ქვაბულებამდე, საიდანაც ეს ქირი მოედო მსოფლიოს. საუბედუროდ, მთელი კაცობრიობისა“.⁶ პაპის სიტყვის სხვა ვერსიებში ეს გეოგრაფიული არეალი დაკონკრეტებულია, როგორც კავკასიის, ანუ „კასპიის ქიშკარი“, საიდანაც გოგ-მაგოგელნი – თურქები გადმოვიდნენ. ვფიქრობ, მაგოგისა და გოგის შესახებ არსებულ მრავალრიცხოვან წყაროებთან შეპირისპირებით ძალიან იოლი გასაგებია, თუ რას გულისხმობს ურბან II თავის სიტყვაში. პაპ ურბან II-ისგან კლერმონში გამოცხადებული ჯვაროსნული პროექტი ითვალისწინებდა ორ პუნქტს: 1. იერუსალიმის გათავისუფლება; 2. თურქთა უკუქცევა კავკასიაში, კავკასიის კართან, მათი ექსპანსიის ბაზაშივე, რადგან სხვა ადგილას მათი შეკავება ვერ მოხერხდება. აქ ახალი არაფერია ნაგულისხმევი, თუ არა „ალექსანდრიანის“ კარგად ცნობილი მარშრუტი. შუა საუკუნეების ეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რომანი მრავალმხრივ განსაზღვრავდა მოცემული ეპოქის ევროპელთა კულტურულ იდეებს და წარმოდგენებს სამყაროს შესახებ. ალექსანდრეს აქ მოცემული მითოლოგიზებული ბიოგრაფიის მიხედვით, მან განახორციელა ორი ცივილიზაციური მნიშვნელობის აქტი, რომელიც ამავდროულად შუა საუკუნეების სამყაროს ფუძემდებლური მოვლენა და ცივილიზაციური ათვლის წერტილია. ალექსანდრემ დაამარცხა ბარბაროსები – მაგოგი და გოგი, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილებულა და კონტროლი დაამყარა კავკასიის ცივილიზაციურ კარიბჭეზეც. უამისოდ ალექსანდრე მაკედონელის მისია მხოლოდ სანახევროდ იქნებოდა შესრულებული. ჩანს, დაახლოებით ასე ესმოდათ პაპს და ჯვაროსნული მოძრაობის სხვა იდეოლოგებსაც ჯვაროსნული მოძრაობის არსი. როგორც ვხედავთ, მაგოგის ანუ თურქთა შეკავებაზე კავკასიის აპოკალიფსურ და ცივილიზაციათმორის კარიბჭესთან პაპი საუბრობს, როგორც

⁶ Poitiers A., DES GUERRES FAICTES, 1559, იხილეთ ურბან II-ის სიტყვა (ტექსტის გვერდები დაუნომრავია).

უმთავრეს ჯვაროსნულ მისიაზე. ჯვაროსნული ლაშქრობების ისტორიიდან ვხედავთ, რომ ჯვაროსნებმა შეძლეს პაპისაგან კლერმონში გამოცხადებული ორპუნქტიანი ჯვაროსნული პროექტის მხოლოდ პირველი პუნქტის განხორციელება – წმინდა ქალაქის გათავისუფლება, მაგრამ პროექტის მეორე პუნქტი – თურქთა უკუქცევა კავკასიის კართან, მათ განუხორციელებელი დარჩათ.

„1447 წლით დათარიღებულ რუკაზე („გენოზეს“ – ბ.ჭ.), კავკასიონის ქვეშ გვხვდება კოშკები, ხოლო მის ქვემოთ წარწერა: „პრესვიტერმა იოანემ ააგო ეს კოშკები, რათა მოეგერიებინა მომხდური [ბარბაროსები]“.⁷ რეალურად ამ რუკაზე ასახულია კავკასიის კართან ბარბაროსთა უკუქცევა და შეკავება, რაც პაპმა კლერმონის საეკლესიო კრებაზე იერუსალიმის გათავისუფლებასთან ერთად უმთავრეს ჯვაროსნულ მისიად დასახა. წმინდა საფლავის ფრანგი ბერი, ანსელუსი, პარიზის ეპისკოპოსისადმი წერილში ნათლად საუბრობს დავით აღმაშენებლის ამავე მისიის შესახებ. მისი ჩვენებით, საქართველოს მეფე კეტავს კავკასიის აპოკალიფსურ კარიბჭეს და იცავს ცივილიზებულ მსოფლიოს კავკასიელი წარმართების, გოგისა და მაგოგის, თავდასხმისაგან: „...დავით, რომელსაც მის წინაპრებით, კასპიის კარი – გოგსა და მაგოგს რომ ზღუდავს, ეჭირა და დარაჯობდა, რასაც მისი შვილი აქამომდე ასრულებს, ვისი ქვეყანა და სამეფო, მედელთ და სპარსთა წინააღმდეგ, ჩვენი წინა ბურჯია“.⁸ ზედმინვენით ამავეს გვამცნობს აღნიშნული რუკაც, მხოლოდ, საქართველოს მეფის სახელის ნაცვლად რუკის ამ მონაკვეთზე პრესვიტერ იოანეს სახელი წერია. უდავოა, რომ ორივე წყარო აქ ერთსა და იმავე სინამდვილეს ასახავს – პრესვიტერი იოანე (რუკაზე) და მისი ისტორიული პროტოტიპი – დავით აღმაშენებელი (ანსელუსის წერილში) იცავს კავკასიის კარიბჭესთან დასავლურ, ქრისტიანულ კულტურულ სამყაროს მისი ცივილიზაციური მტრებისაგან, ანუ ასრულებს კლერმონის

⁷ <<https://www.newadvent.org/cathen/12400b.htm>> [12.10.2022]

⁸ ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან, პარიზი, 1925, 17.

საეკლესიო კრებაზე პაპისაგან განსაზღვრულ უმთავრეს ჯვაროსნულ მისიას. **ვფიქრობ, ყველაფერ ამის გამოა დავითი მიჩნეული თანადროულ ევროპულ ქრისტიანულ წყაროებში ჯვაროსანთა წინამძღოლად და თავად ჯვაროსან ხელმწიფედ, „ყველაზე სრულყოფილი ქრისტიანად“ თუ „წინაბურჯად“, რომლისგანაც თვით იერუსალემის მეფეც კი ინსიგნიებს იღებს.** მოცემული შეხედულებები დავით აღმაშენებელზე, როგორც ქრისტიან ხელისუფალთა შორის უპირველესზე, შეჯამდა „ყველაზე დიდი ქრისტიანი ხელმწიფის, პრესვიტერ იოანეს“ ლეგენდარულ ფიგურაში.

მაგრამ, როგორი იყო თავად დავით აღმაშენებლის დამოკიდებულება რომის ეკლესიისადმი? რომლის აღმსარებლებიც მას ყველაზე დიდ ქრისტიანად მიიჩნევდნენ. ამის შესახებ პირდაპირ ცნობებს იძლევიან დავით აღმაშენებლის მოძღვრის და მე-12-საუკუნის ქართველი საეკლესიო იდეოლოგის, არსენის საეკლესიო რეფორმები. არსენი დავითის სრული რწმუნებით იყო აღჭურვილი და მისგან გატარებულ ყველა ღონისძიებას მეფე სრულად ემხრობოდა. დავითის მოძღვრმა არსენმა შემუშავა განსაკუთრებული მიდგომა საქართველოს დასავლეთ ევროპასთან დამოკიდებულებისა. ვგულისხმობ იმ ცვლილებებს, რომლებიც მან ფუძემდებლური საეკლესიო დოკუმენტის, დოგმატიკონის ქართულენოვანი ვერსიის ტრაქტატების თარგმანებში განახორციელა. 1. დოგმატიკონის ბერძნულ ტექსტში იხსენიება მხოლოდ ოთხი მამამთავარი, ხუთის ნაცვლად, რადგანაც დიპტიქიდან ბერძნებმა „მწვალებელი“ პაპი ამოშალეს. ქართული ეკლესიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მამა ქართულ თარგმანში ამატებს მეხუთეს და რიგით პირველს – პაპს! საინტერესოა, რომ პაპის მოხსენიება ქართულ დიპტიქებში თვით XV საუკუნის მეორე ნახევრამდეც უნდა გაგრძელებულიყო, როგორც ამას დავით კათალიკოსის წყალობის წიგნში ვხედავთ; 2. ბერძნულ პოლემიკურ თხზულებაში (ნიკიტა სტითატის) პოლემიკა მიმართულია ლათინთა (ევროპელთა) და სომეხთა წინააღმდეგ. ქართულ თარგმანში, არსენ იყალთოელი ყველგან შლის ლათინ-

ნთა სახელს. ამ გარემოებას იმით ვერ ავხსნით, რომ ლათინებთან პოლემიკა ტერიტორიული დაშორების გამო ქართველებისათვის აქტუალური არ ყოფილა და თითქოს ამიტომ ამოიღეს განსახილველი ტექსტიდან ლათინთა კრიტიკა. სინამდვილეში, ტექსტიდან ლათინთა კრიტიკის ამოღების რეალურ მიზეზს ისევ არსენთან ვხვდებით, რომელმაც ბერძნებისაგან ამოშლილი პაპის სახელი კვლავ დააბრუნა დიპტიქში, რასაც ლოგიკურად უნდა მოჰყოლოდა ტექსტიდან პაპის ერეტიკოსობაში ბრალდებების ამოშლაც. აქედან და მრავალი სხვა პირველწყაროდან კარგად ჩანს, რომ როგორც ევროპაში ფიქრობდნენ, პრესვიტერ იოანეს სამეფოში, ანუ დავით აღმაშენებლის დიდ სახელმწიფოში, ჭეშმარიტად, არაფერი სურთ ისეთი, რაც რომის ეკლესიას ეწინააღმდეგებოდა. ყოველივე თქმულიდან ჩანს, რომ კათოლიკე ეკლესიისგან ქრისტიანი მეფის იდეალად მიჩნეულ დავით აღმაშენებელს სურდა მჭიდრო სულიერი ურთიერთობების შენარჩუნება რომთან.

IV. ქართული მონასტრები და რომის ეკლესია

ისტორიულად, საქართველოს კულტურულ და რელიგიურ სახეს ძირითადად განსაზღვრავდა სამი უდიდესი ქართული მონასტერი საზღვარგარეთ: ათონზე – ივერონი, ნმინდა მიწაზე – ჯვარი და სირიაში – სვიმონ საკვირველმოქმედის მონასტერი, ქართული ხელნაწერების დიდი ნაწილი სწორედ ამ მონასტრებშია გადაწერილი. ნიშნეულია, რომ სამივე მათგანმა დიდი სქიზმის დროს გადაჭრით დაიკავა რომის ეკლესიის მხარე.

1. სვიმონ საკვირველმოქმედის მონასტერი

ბერძენთა და კათოლიკეთა სქიზმის პერიოდში, ანტიოქიასთან, სვიმონ საკვირველმოქმედის მთაზე, ქართველი და კათოლიკე ბერები გაერთიანდნენ კათოლიკე ეპისკოპოსის – რეიმონდის სამწყსოში. მე-13 საუკუნეში კარდინალი ოლივერ პადერბონელი

ენვია ამ უნიკალურ მონასტერს, სადაც ქართველი და ევროპელი ბერები ერთად მოღვაწეობდნენ, ამის შესახებ იგი წერს: „ჩვენ საგულდაგულოდ შევამოწმეთ ქართველთა წიგნები სვიმეონ მესვეტის მთაზე, სადაც მათ თავიანთი მონასტერი აქვთ, განმმარტებელთაგან შევიტყვეთ, რომ მათი სახარებები ისეთივეა, როგორიც ლათინებისა, თაღვანი შემკულობებიც ჩვენნაირი აქვთ, პავლე მოციქულის ეპისტოლეებიც ჩვენი რიგის მიხედვით აქვთ, მის წერილს რომაელთა მიმართ ათავსებენ ყველაზე წინ“.

2. ჯვრის მონასტერი

ჯვრის მონასტრის აღაპები, სადაც ჯვაროსანთა, ტამპლიერთა მოსახსენებლებია შეტანილი, საუკეთესოდ გვიჩვენებს ქართველთა და ევროპელთა სულიერი ურთიერთობების სიმჭიდროვეს. აღაპებში უამრავი რაინდის სახელია შეტანილი, აქ ყურადღებას გავამახვილებთ ტამპლიერთა კომანდორის მოსახსენებლებზე: (1) „ჯ[უ]არო პ[ა]ტიოსანო ადიდე და შ[იენყალ]ე სირ პერ კუმანდური ტაძრელთა, (2) შეინყ[სა]ლე ძმაი პერი ტაძრელთაი, (3) ქ[რისტ]ე ლ[მერთ]ო დაიც[ე]ვ ძმაი ჩ[ვენი] პერია და შ[ე]უნ[დვენ] ც[ოდვან]ი მისნი“. ტამპლიერთა კომანდორის სამჯერ მოხსენიება ქართულ სავედრებლებში ნიშნავს მის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ქართველთა მონასტერთან. ტამპლიერები ჯვრის მონასტრის მომლოცველების და მონასტრის მცველები უნდა ყოფილიყვნენ, ამიტომ ავედრებენ ღმერთს მათ დაცვას ქართველი ბერები. საინტერესოა, რომ ისინი ტამპლიერებს „ძმებად“ აღიქვამენ, მართლაც, ტამპლიერები ხომ მეომარი ბერები იყვნენ. ამიტომაც ქართველი, ჯვარელი ბერები მათ თავიანთ თანამებად მიიჩნევენ.

დავით აღმაშენებლის ეპოქაში ჯვრის მონასტრის ქართული საძმო კათოლიკე ეპისკოპოსს – გიბელენს ექვემდებარებოდა, რომელმაც სხვათაშორის მონაზვნად აღკვეცა დავით აღმაშენებლის ცოლი.

3. ივერონის მონასტერი

რადგანაც ამ წერილში ვეყრდნობით მხოლოდ შედარებით ნაკლებ ცნობილ წყაროებს, შეგნებულად ავუვლით გვერდს ისეთ ფართოდ ცნობილ ფაქტებს, როგორც მაგალითად ქართველი ათონელების და ბენედიქტელი ბერების საოცარი მეგობრობაა, რომელზეც ლეგენდებიც კი ითხზებოდა. აქ თქვენს ყურადღებას მივაქცევ ბერძენი ბერის – იკოდომოპულოსის წერილის ფრაგმენტს ოპრიდის ეპისკოპოსისადმი, სადაც ქართველ ათონელებზე იგი წერს: „ქართველები არ დაუპირისპირდნენ ლათინებს, როგორც მართებდათ, ისინი სამარცხვინოდ ეახლნენ პაპის კარდინალს თესალონიკში და ლათინთა ხელზე ხელების დადებით განგეშორნენ ჩვენ, ბერძნებს“. თუ ყველაფერ ამასთან ერთად იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საკუთრივ საქართველოში, ჯიუტად აგრძელებდნენ პაპის მოხსენიებას დიპტიქში, ყველაფერი ნათელი იქნება, ერთობა რომთან, თუნდაც ბერძნებთან სქიზმის ხარჯზე, ჩვენი ერის საუკეთესო შვილების **ეფთვიმე ათონელის, გიორგი მთაწმინდელის, დავით აღმაშენებლის და ჩვენი ეკლესიის ყველაზე განსწავლული მოძღვრების – ივერონელი, ჯვარელი და შავმთელი მამების ისტორიული არჩევანია**, არავის აქვს უფლება თავისი ვიწრო კონფესიური მიკერძოებულობის გამო მიჩქმალოს და გვერდი აუაროს მრავალი წყაროთი გამჟღავნებულ ამ ისტორიულ ჭეშმარიტებას.

V. ქართველთა და ევროპელთა კულტურული თანამშრომლობა

მჭიდრო სულიერი ურთიერთობები ქართველთა და ევროპელთა შორის მჭიდრო კულტურული თანამშრომლობის საფუძველიც ხდებოდა. ამ მხრივ ყურადსაღებია წმ. გიორგი მთაწმინდელის ერთ-ერთი თხზულების ანდერძი: „ჰრომთა წიგნისაგან გადმოვსწერე“, ჩანს, მას აქ მხედველობაში უნდა ჰქონდეს მისი მეგობარი

იტალიელი ბერების ხელნაწერი. რამდენად მასშტაბური იყო კულტურული თანამშრომლობა ქართველ და ევროპელ ბერებს შორის, შესანიშნავად ჩანს ძველი ფრანგული ენის და ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ნათარგმნი ძეგლის – „ბალავარის და იოდასაფის“ მაგალითზეც. როგორც ირკვევა, ეს თარგმანი შესრულებულია ქართველი და ფრანგი ბერის ერთობლივი მუშაობით, ქართველთა მონასტერში, ივერონში, 1206-10 წლებში, როდესაც ბერძნული წყაროების მიხედვით ქართველმა ათონელებმა განწყვიტეს კავშირი ბერძნებთან და რომის ეკლესიას შეუერთდნენ. ქართველმა და ფრანგმა ბერებმა თარგმანი საჩუქრად გადასცეს კარდინალ ბენუა დე სანსუზანს.⁹ საფრანგეთში ტექსტი ელვისებური სისწრაფით გავრცელდა და ძალიან დიდი როლი შეასრულა ძველი ფრანგული ენისა და ლიტერატურის განვითარებაში.

აქვე მსურს მოგითხროთ კიდევ ერთი წარმოუდგენელი ფაქტის შესახებ ქართულ-ევროპული სულიერი და კულტურული თანამშრომლობის ისტორიიდან, საიდანაც კიდევ ერთხელ ჩანს რამდენად ცუდადაა გააზრებული საქართველოს ეკლესიის ისტორია გლობალურად. ჩვეულებრივ, მიიჩნევა, რომ საქართველოს ევროპულ რენესანსთან არაფერი აკავშირებს, მაგრამ რიგი ბერძნული და ლათინური წყაროებით ირკვევა, რომ ქრისტიანულ აღმოსავლეთში, მათ შორის რუსეთში, ევროპული რენესანსის ერთი ყველაზე ძლიერი ტალღა გავრცელდა სწორედ ივერონის ქართული მონასტრიდან. ცნობილია, რომ ევროპული რენესანსის განვითარებაში უზარმაზარი წვლილი შეიტანა მე-16 საუკუნის ცნობილმა ბერძენმა ჰუმანისტმა – მაქსიმე მარგონიოსმა (1549-1602), რომელიც დაუცხრომელად თარგმნიდა ბერძნულ ტექსტებს ლათინურად, ლათინურს კი ბერძნულად. ამგვარად, ეს ინტელექტუალური გიგანტი რენესანსის წყაროთმცოდნეობით საფუძვლებს მნიშვნელოვნად ამდიდრებდა, იგი ასწავლიდა ვენეციაში, ჰყავდა

⁹ Rara avis: la traduction française médiévale du Barlaam et Ioasaph du mont Athos, Agrigoroae V., Verona, 2014, 148.

უამრავი მონაფე და ჰქონდა უმჭიდროესი ურთიერთობები ფრანგ, ინგლისელ და იტალიელ ჰუმანისტებთან. რენესანსის ამ ერთ-ერთ მამას უახლოესი ურთიერთობები ჰქონდა ქართველ ათონელ ბერებთან, რომელთა შორისაც მას მონაფეები და მეგობრებიც ჰყავდა. ქართველი მეფე-მთავრების მხარდაჭერით მე-16-საუკუნეში ივერონში ისევ აღორძინება იწყება. მარგონიოსს ყველაზე ახლო ურთიერთობები სწორედ ქართველთა ხელახლა აღორძინებულ მონასტერთან ჰქონდა, რის გამოც მისგან თარგმნილი ევროპული, ლათინური ლიტერატურის უდიდესი ნაწილი, მთელი ბიბლიოთეკა, სიკვდილის წინ ანდო სწორედ ივერონის ქართულ მონასტერს. მას ეს მხოლოდ ქართველებთან მეგობრობის გამო არ უნდა გაეკეთებინა, მარგონიოსმა კარგად იცოდა, თუ რა დიდი ტრადიცია ჰქონდა ქართველთა მონასტერში ევროპელებთან მეგობრობას და კულტურულ თანამშრომლობას, რომლის შესახებაც ლეგენდებიც კი ითხზებოდა (გაბრიელ ქართველის და ლეო ჰრომის მეგობრობა). საგულისხმოა, რომ რუსეთიდან ათონის მთაზე საგანგებოდ მოვლინებული ბერი – არსენი სუხანოვი ეწვია ქართველთა მონასტერს და ევროპელ მოაზროვნეთა ტექსტების ნაწილი რუსეთში წაიღო. არსებობს სხვა შემთხვევებიც, როდესაც ერთმანეთთან დაპირისპირებული ბერძნული და ლათინური საეკლესიო ტრადიციები სწორედ ივერონში კვეთდნენ ერთმანეთს. ბერძნებთან ნაციონალური შუღლი და ზიზღი ძალიან აფერხებდა ბერძნული ტექსტების ლათინურად თარგმნასაც, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქართველი ათონელები რომის ეკლესიას შეუერთდნენ, ქართველ ათონელთა სავანე, ივერონი გადაიქცა დასავლური და აღმოსავლური კულტურების ერთმანეთისკენ გამტარ ნამდვილ არხად. საგანგებოდ, ხაზგასმით შევნიშნავ, რომ საუბარი არაა მხოლოდ ცალკეული თხზულებების თარგმანზე, აქ იგულისხმებიან აღმოსავლური თხზულებების მთელი ბიბლიოთეკები, რომელიც დასავლეთმა ივერონის მეშვეობით გაიცნო (ზოგჯერ, ივერონის უმდიდრესი წიგნთსაცავებიდან ევროპულ ენებზე თარგმნილ

ბიბლიოთეკებში შემაჯავალი მხოლოდ ერთი ავტორის თხზულებების რაოდენობაც კი რამდენიმე ათეულს აღემატებოდა) და პირიქით, დასავლეთ ევროპული ტექსტების ბიბლიოთეკები, რომელსაც აღმოსავლეთი სწორედ ივერონის შუამავლობით ეცნობოდა. გამაოგნებელია, რომ ქართული მართლმადიდებლური კერის ეს ტიტანური როლი ევროპის და აღმოსავლეთის სულიერ და კულტურულ დაახლოებაში და ურთიერთგამდიდრებაში დღემდე არ გამხდარა საფუძვლიანი მეცნიერული კვლევის საგანი ქართულ სამეცნიერო წრეებში.

ყველაფერ თქმულს თუ შევაჯამებთ, შეგვეძლება დავასკვნათ, რომ ქართველ და ევროპელ სასულიერო მოღვაწეთა ურთიერთობები იმაზე ბევრად ღრმა იყო, ვიდრე ეს სადღეისოაა მიჩნეული, და ამიტომ ამ ურთიერთობების შედეგებიც სინამდვილეში იმაზე ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს აქამდე გვქონდა წარმოდგენილი.

RELATIONS BETWEEN GEORGIA AND ROMAN CHURCH AFTER THE GREAT SCHISM

Beka Chichinadze*

In the article mainly discuss lesser-known sources, therefore, the reader will see a more varied, interesting and unexpected information. First of all, I will discuss the Latin religious beliefs of the great teacher of the Georgian Church – George Mtatsmindeli because some researchers try to hide this.

We will not talk much here about the well-known fact that George himself proclaimed the Church of Rome to be the most faithful defender of the apostolic doctrines before the Byzantine emperor. While the Greeks and Latins were arguing about the descent of the Holy Spirit, George translated into Georgian – “The Symbol of Athanasius”, where the Holy Spirit was considered to come from the Son, i.e. the Latin pneumatological formula was described – “The Holy Spirit from the Father and from the Son”.

If this doctrine of the Catholic Church was a heresy for George, obviously he would have. After all we can conclude the following: During the unity and strength of the Georgian state, when the Georgian Fathers translated many theological literatures, had numerous theological centers (the Maghalashvili Gospel inscription speaks of seven such schools in one diocese), the Georgian Church had its own position on the Church of Rome, but after the political and cultural fall, Influenced first by Greek and especially Russian anti-Catholic propaganda, Georgia rejected the historic choice of its best clergy of the Church – unity with the Catholic Church.

At the beginning of its relations with Georgia, Russia started struggle with the Catholic missionaries in Georgia, the Russian am-

* Researcher at Institute for Theology and Philosophy of Sul Khan-Saba Orbeliani University.

bassador – Zakharev, started anti-Catholic propaganda, and after the conquest of Georgia, Russia expelled the Catholic missionaries from Georgia, because Russia's goal was and is the ecclesiastical isolation of Georgia.

Keywords: Georgians, Western Europeans, Monasteries, Religious, Schism, Relation.